

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმორეგულირებელი ორგანიზაციის ხელშეწყობით

დღეს მოხლოდნელია ცვლებადი მორბეულობა, უნალექოდ, ცვლებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდაშიან რაიონებში - 27-32, მაღალ მთაში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოხლოდნელია უნალექო ამინდი.

პირილოსი იუსტი

საქართველო აღარასდროს დაუბრუნდება ქუჩის და დესტაბილიზაციის პოლიტიკას. ჩვენ როგორც ხელისუფლება, გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ



გაგრძელდეს დემოკრატიული რეფორმები და რადიკალური ანტი-ისტემური, ანტიდემოკრატიული პარტიები ჩაანაცვლონ სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა, რომელთაც ჩვენი საზოგადოება აირჩევს შემდეგ არჩევნებში, - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ «გირჩი - მეტი თავისუფლების» სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც რეგარეში არჩევნების დანიშვნამდე ქვეყნის მასშტაბით დაუმორჩილებლობის დაწყებას გულისხმობს.

«გირჩი - მეტი თავისუფლების» ლიდერმა ზურაბ ჭავჭავაძემ სამოქმედო გეგმა წარადგინა, რომლის თაობაზეც მან ვიდეომიმართვაში ისაუბრა. როგორც ჭავჭავაძემ განაცხადა, «დაუმორჩილებლობა, პროტესტი, საბოტაჟი, პარალიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით» - ეს არის სამოქმედო გეგმა, რომელზე მუშაობასაც თანამოაზრებთან ერთად სექტემბრიდან დაიწყებს, სანამ ხელისუფლება რეგარეში არჩევნებს არ დანიშნავს.

მიხეილ სააკაშვილი არ შიმშილობს, ყველა სახის ღონისძიება უტარდება, რასაც საგანგებო მდგომარეობის საჭიროდ, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგვაძემ საქართველოს მესამე პრეზიდენტის წინამართლობის მდგომარეობაზე საუბრისას. როგორც ბრეგვაძემ განმარტავს, სააკაშვილი იმყოფება არა რენიმიაციულ, არამედ თერაპიულ განყოფილებაში. «ბენიტენციური სამსახური არ იღებს გადაწყვეტილებას მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანაზე. გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომელმაც სასჯელი ან უნდა გადაუვადოს ან უნდა გაათავისუფლოს», - განაცხადა მინისტრმა.

პარტიამ «ანა დოლიძე - ხალხისთვის» კამპანია «იარე ფრთხილად ხალხისთვის» დაიწყო. მისი მიზანია დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები საგზაო უსაფრთხოების მხრივ ვითარების გასამჯობებლად. როგორც პარტიაში განმარტავენ, ყოველ წელს საგზაო შემთხვევებში 500-მდე ადამიანი, მათ შორის 30-მდე ბავშვი იღუპება.

მომავლად ია შველიძე

ახალგაზრდული ფორუმი - ბათუმში

გუშინ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდობის სააგენტოსა და ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით გამართულ რეგიონულ ახალგაზრდულ ფორუმში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც სასტუმრო «შილტონი» მასპინძლობდა. ფორუმის მიზანია მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმი-

ანობაში ჩართვა, გააქტიურება და მათთვის განკუთვნილ სერვისებზე ინფორმაციის მიწოდება იყო.

მთავრობის თავმჯდომარე ფორუმის მონაწილე ახალგაზრდებს მიესალმა, დიდგორობის დღესასწაული მიულოცა და ქვეყნის წარმატებაში მათ როლს გაუსვა ხაზი.

«ჩვენს ქვეყანას, თითოეულ ქართველს გულოცავ დიდგორობას, უდიდესი გამარჯვების



დღეს. სიმბოლურია, რომ დღეს მსოფლიო აღნიშნავს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს. ჩვენი მიზანია შევქმნათ ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი - განათლებული ახალგაზრდობა ჩვენს ქვეყანაში. ახალგაზრდებს ვულოცავ დღევანდელ დღეს და ვუსურვებ დიდ გამარჯვებას,» - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ფორუმზე ახალგაზრდებმა მთავარი მიზნიდან გამომდინარე, ხუთი პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისი კონკრეტული აქტივობები შეიმუშავეს.

გუშინვე ბათუმში ახალგაზრდული ფესტივალი გაიმართა.

ანა ჩხიკვაძე



დიდგორის ბრძოლა - ქართველი ხალხის სიმბოლო და შეუპოვრობის უკვდავი მაგალითი

დღეს ჩვენი დიდი ისტორიის და ჩვენი დიდი წარსულის უმნიშვნელოვანეს თარიღს აღვნიშნავთ. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვება ქართველი ხალხის სიმბოლოა და შეუპოვრობის, სამხედრო დიდების, გამირობისა და შემართების უკვდავი მაგალითია, - განაცხადა გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დიდგორის დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, 9 საუკუნის წინ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება - «ძლევაი საკვირველი», რომელიც მსოფლიო ისტორიის უდიდეს სამხედრო-სტრატეგიულ გამარჯვებათა რიგს ეკუთვნის, ჩვენი ერის გაერთიანების, ჩვენი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და განმტკიცების მყარი საფუძველი გახდა.

«დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ შესაძ-



ლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის გათავისუფლება და დასაბამი მისცა საქართველოს ისტორიის ოქროს ხანას - პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ, საგანმანათლებლო აღორძინებას. ამ გამარჯვებით საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი. ამავე დროს, კიდევ ერთხელ მიზნად შევახსენო ჩვენს მომავალ თაობას, განსაკუთრებით ჩვენს შვილებს, ახალგაზრდებს, რომ ეს იყო სწორედ ეროვნული, ქრისტიანული ღირებულებების გამარჯვების დღე, რომელსაც ეფუძნება ჩვენი კულტურა, ისტორია და ჩვენი ქვეყნის ტრადიციები. სწორედ ეს ღირებულებები გვიმაგრებს ზურგს დღესაც. ეს არის ჩვენი ერთადერთი მყარი საფუძველი», - აღნიშნა პრემიერმა.

იხ. 2-3 გვ.

ბათუმს სამი ახალი სკვერი შეემატება

«ჯვარობა» - საღვთო დღესასწაული მთა ღოზაზე

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



